სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №269/2017

ქ.თბილისი „ 18 “ სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ინტეგრა“** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ცინცაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნილების მანქანა-დანადგარების ნაწილების (CPV16810000) მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3580 (სამი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2017 წლის სახელმწიფო ქვეპროგრამის - „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობა" - ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.5. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.6. მიაწოდოს დადგენილი ხარისხისა და სტანდარტის საქონელი;

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.6.

7. გარანტია

7.1. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება 12 თვიანი გარანტია.

7.2. საგარანტიო ვადის ათვალა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

7.3. გარანტიის მოქმედების პერიოდში მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ხელშეკრულების 4.4.1. მუხლით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.2. 11.1. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 8.2 პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 სამუშაო დღის განმვლობაში

11.3. იმ შემთხვევაში, ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

11.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	შ.პ.ს. "ინტეგრა"
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 401945892 თბილისი, აგლაძის ქუჩა №34, I კორპუსი ბინა №12. მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. – MIBGGE22 GE65PC 0313 6001 0000 6161
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი	დირექტორი გიორგი ცინცაძე

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1	გამაფრქვეველის ნაწილი APS51/74/96	ცალი	8	259.23	2,073.87
2	გამაფრქვეველის ნაწილი GUOR3.53X25.80VT	ცალი	16	15.74	251.76
3	გამაფრქვეველის ნაწილი OR22.22X2.62 VITON	ცალი	16	28.13	450.12
4	გამაფრქვეველის ნაწილი OR34.6X2.62 VITON	ცალი	16	10.73	171.66
5	გამაფრქვეველის ნაწილი OR1.78x75.92VT	ცალი	2	33.78	67.55
6	გამაფრქვეველის ნაწილი OR1.78x101.32VT	ცალი	2	54.44	108.87
7	გამაფრქვეველის ნაწილი OR3.53x142.5VT	ცალი	2	100.05	200.11
8	გამაფრქვეველის ნაწილი OR2.62x101.27	ცალი	2	42.20	84.40
9	გამაფრქვეველის ნაწილი OR2.62x75.87VT	ცალი	2	36.24	72.48
10	გამაფქრვეველის ნაწილი DISTANZE IN PLASTICA APS51	ცალი	2	49.59	99.18
	ს უ ლ				3,580.00

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	შ.პ.ს. "ინტეგრა"
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.N200122900 კოდი: 220101222	ს.კ. – 401945892 თბილისი, აგლაძის ქუჩა №34, I კორპუსი ბინა №12. მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. – MIBGGE22 GE65PC 0313 6001 0000 6161
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	დირექტორი _____ გიორგი ცინცაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **შპს „ინტეგრა“-ს** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენო“-ს
უფროსი

ზურაბ ჩეკურაშვილი ----------

სსიპ „სუსრათის ეროვნული სააგენტო-ს
იურიდიული დეპარტამენტი

მაკა შუბლაძე ----------

სსიპ „სუსრათის ეროვნული სააგენტო-ს
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

თამარ ჯავახაძე ----------

სსიპ „სუსრათის ეროვნული სააგენტო-ს
მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი

მარინა ღვინეფაძე ----------

სსიპ „სუსრათის ერივნული სააგენტო-ს
შესყიდვების სამმართველოს იფროსი

გერონტი ფრუიძე ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებლი ჯგუფი:

ბეჟან რეხვიაშვილი ----------